საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 04-5/1771
19.02.2024

1771-04-5-2-202402191607

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ კახა კალაძეს

ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ა. მიზანდარის სახელობის №1 ხელოვნების სკოლას
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის №2 ხელოვნების სკოლას
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის არჩილ ჩიმაკაძის სახელობის №3 ხელოვნების სკოლას
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ზაჰესის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის
№5 ხელოვნების სკოლას
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის
№6 ხელოვნების სკოლას
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის №7 ხელოვნების სკოლას
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის მერაბ კოსტავას სახელობის №8 ხელოვნების სკოლას
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიას
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ვიქტორ დოლიძის სახელობის №15 ხელოვნების სკოლას
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის სულხან ცინცაძის სახელობის №16 ხელოვნების სკოლას
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის მერი ნაკაშიძის სახელობის №17 ხელოვნების სკოლას
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის პეტრე ამირანაშვილის სახელობის №18 ხელოვნების სკოლას
(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის №19 ხელოვნების სკოლას
, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის შოთა შანიძის სახელობის №20 ხელოვნების სკოლას
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის №21 ხელოვნების სკოლას
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის დავით თორაძის სახელობის №22 ხელოვნების სკოლას
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის №23 ხელოვნების სკოლას
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის №24 ხელოვნების სკოლას
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის გიორგი ცაბაძის სახელობის №25 ხელოვნების სკოლას
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ალექსი მაჭავარიანის სახელობის №26 ხელოვნების სკოლას
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ალექსანდრე ნიჟარაძის სახელობის №27 ხელოვნების სკოლას
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის №28 ხელოვნების სკოლას
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ჰამლეტ გონაშვილის სახელობის №29 ხელოვნების სკოლას
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის №30 ხელოვნების სკოლას
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის №1 სამხატვრო ხელოვნების
სკოლას
ა(ა)იპ ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი №1“-ს
ა(ა)იპ ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი №2“-ს
ა(ა)იპ ხელოვნების სამხატვრო სკოლა „აფხაზეთი №1“-ს
ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ილიკო სუხიშვილის სახელობის
ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიას

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

თანამშრომლების შრომის უფლების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კულტურისა და სპორტის ობიექტებში დასაქმებულ პირთა შრომითი უფლებები და დაადგინა, რომ კულტურის 30 დაწესებულებაში და სპორტის 2 დაწესებულებაში ადგილი აქვს დასაქმებული პედაგოგებისა და მწვრთნელების შრომითი უფლებების დარღვევას.

ფაქტობრივი გარემოებები:

2023 წელს საქართველოს სახალხო დამცველს N5592/23 განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულ ერთ-ერთ ხელოვნების სკოლაში დასაქმებულმა მუსიკის პედაგოგმა და განმარტა, რომ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ის 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა კონკრეტულ დაწესებულებაში, წლების განმავლობაში ვერ სარგებლობდა ანაზღაურებადი შვებულების უფლებით. საქართველოს სახალხო დამცველი დაინტერესდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კულტურისა და სპორტის ობიექტებში დასაქმებული პირების შრომითი უფლებების დაცვის მდგომარეობით და საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოდან გამოითხოვილ იქნა ინფორმაცია მერიის მიერ დაფუძნებულ კულტურისა და სპორტის ობიექტებში დასაქმებული პედაგოგების რაოდენობის (მათ შორის გენდერის ჭრილში), დასაქმების ხანგრძლივობის, ბოლო 10 წლის განმავლობაში ანაზღაურებადი შვებულებით, ასევე ორსულობისა და მშობიარობის, ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებით სარგებლობის რაოდენობის შესახებ.[1]

[1] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 25 სექტემბრის N04-5/9671 წერილი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით 33 ხელოვნების სკოლიდან 29 მათგანში[2], ერთ ხელოვნების კოლეჯში[3] და ექვსი სპორტული დაწესებულებიდან 2 ობიექტზე[4] დასაქმებულ 918 (ცხრაას თვრამეტი) პედაგოგს/მწვრთნელს (აქედან ქალი დასაქმებული 780, მამაკაცი: 138) ბოლო 10 წლის განმავლობაში არ უსარგებლია ანაზღაურებადი შვებულებით, ვინაიდან მათთან ყოველ წელს შრომითი ხელშეკრულება იდება 10 თვის ვადით. უმეტეს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ამგვარი შრომითი ურთიერთობა ბოლო 15 წელია რაც არსებობს (ზოგიერთ შემთხვევაში 20 წელზე მეტი). ამასთან, სპორტულმა დაწესებულებებმა მიუთითეს, რომ ვინაიდან მწვრთნელების ანაზღაურება ბენეფიციარების რაოდენობაზეა დამოკიდებული, დასაქმებულთა ინტერესში არ შედის შვებულებით სარგებლობა და ისინი შვებულებით (ანაზღაურების გარეშე) მაშინ სარგებლობენ, როდესაც დაწესებულება არ ფუნქციონირებს (ყოველი წლის აგვისტოს თვეში).

სამართლებრივი დასაბუთება:

შრომის უფლება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს და ამ უფლების დაცვა ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. შრომასთან დაკავშირებული უფლებები აღიარებული და დაცულია როგორც ქვეყნის კონსტიტუციით[5] და საერთაშორისო ხელშეკრულებებით[6], ისე საქართველოს ორგანული კანონით ,,საქართველოს შრომის კოდექსით“ და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის 30-ე მუხლით (ახალი რედაქციით 26-ე მუხლი) დაცულია არა მხოლოდ

---

[2] ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ა. მიზანდარის სახელობის №1 ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის №2 ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის არჩილ ჩიმაკაძის სახელობის №3 ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ზაჰესის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის №5 ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის №6 ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის №7 ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის მერაბ კოსტავას სახელობის №8 ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზია, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ვიქტორ დოლიძის სახელობის №15 ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის სულხან ცინცაძის სახელობის №16 ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის მერი ნაკაშიძის სახელობის №17 ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის პეტრე ამირანაშვილის სახელობის №18 ხელოვნების სკოლა, (ა)იპ ქ. თბილისის მერიის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის №19 ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის შოთა შანიძის სახელობის №20 ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის №21 ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის დავით თორაძის სახელობის №22 ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის №23 ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის №24 ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის გიორგი ცაბაძის სახელობის №25 ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ალექსი მაჭავარიანის სახელობის №26 ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ალექსანდრე ნიჟარაძის სახელობის №27 ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის №28 ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ჰამლეტ გონაშვილის სახელობის №29 ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის №30 ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის №1 სამხატვრო ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი №1“, ა(ა)იპ ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი №2“, ა(ა)იპ ხელოვნების სამხატვრო სკოლა „აფხაზეთი №1“, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია.

[3] ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯი.

[4] ა(ა)იპ "ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრი" და ა(ა)იპ "ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი"

[5] საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი.

[6] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, ევროპის სოციალური ქარტია და სხვ.

უფლება აირჩიო სამუშაო, არამედ ასევე უფლება განახორციელო, შეინარჩუნო/დათმო ეს სამუშაო და დაცული იყო უმუშევრობისაგან. შრომის თავისუფლება უზრუნველყოფს სამართლიანი ანაზღაურების უფლებასაც, ადამიანის ღირსეული ცხოვრება ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამუშაოს შესრულებასა და ამ სამუშაოსთვის ანაზღაურების მიღებაზე.[7]

საქართველოს შრომის კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შრომითი ხელშეკრულება იდება განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოთვლის იმ საფუძვლებს, რა შემთხვევაშიც კანონმდებლობით დასაშვებია 1 წელზე ნაკლები ვადით დაიდოს შრომითი ხელშეკრულება *(შესასრულებელია კონკრეტული მოცულობის სამუშაო, შესასრულებელია სეზონური სამუშაო, სამუშაოს მოცულობა დროებით იზრდება, ხდება შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლით სამუშაოზე დროებით არმყოფი დასაქმებულის ჩანაცვლება, შრომითი ხელშეკრულება ითვალისწინებს ,,დასაქმების ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ შრომის ანაზღაურების სუბსიდირებას, არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების განსაზღვრული ვადით დადებას).*

განსახილველი საქმის შესწავლისას დადგინდა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულ კულტურის და სპორტის დაწესებულებებში პედაგოგების/მწვრთნელების მიერ შესასრულებელი სამუშაო დაწესებულებების ძირითადი ფუნქციების შესრულებას ემსახურება და დამსაქმებელი დაწესებულებები ერთიდაიმავე პირებთან საშუალოდ 15 წელია 10 თვის ვადით დებენ შრომითი ხელშეკრულებებს. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ არ არსებობს ის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები რაც განსახილველ შემთხვევაში პედაგოგებთან/მწვრთნელებთან 1 წელზე ნაკლები ვადით შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას გაამართლებდა. სახალხო დამცველს სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ შრომითი ხელშეკრულების ამგვარი დებულებებით დაუსაბუთებლად იზღუდება დასაქმებულთა კონსტიტუციური უფლება და ქმნის მისი ბათილობის საფუძვლებს. პედაგოგებს და მწვრთნელებს კანონშეუსაბამოდ ეზღუდებათ ანაზღაურებადი შვებულების უფლებით სარგებლობა, ასევე ეზღუდებათ უფლება შეინარჩუნონ სამუშაო ადგილი და დაცული იყვნენ დაუსაბუთებელი და უკანონო გათავისუფლებისგან, ვინაიდან 10 თვის ვადით დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება დამსაქმებელს აძლევს ფორმალურ საფუძველს მხოლოდ ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძლით შეწყვიტოს დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობა.

მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ ჩამოთვლილ კულტურის და სპორტის დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა 83% (780 დასაქმებული) ქალია. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) დაკვეთით 2022 წელს გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით[8], იმ სექტორში სადაც მაღალია ქალების პროპორციული შემადგენლობა, უფრო დაბალია იმავე სექტორის საშუალო ანაზღაურება. საქართველოში გენდერულ სახელფასო სხვაობასა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელობაზე საუბარია საქართველოს

[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის №2/2/565 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ილია ლეჟავა და ლევან როსტომაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/2-389 საქმეზე ,,საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ".

[8] დეტალური ინფორმაცია იხ. კვლევა ,,გენდერული სახელფასო სხვაობა საქართველოში" https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---europe/---ro-geneva/---sro-budapest/documents/publication/wcms_842469.pdf გვ. 45

მთავრობის N622 დადგენილებით დამტკიცებულ ,,საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიაში". ქვეყანაში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით არსებულ გამოწვევებზე საუბარია ,,ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიშშიც.[9] ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის და სამუშაო ადგილიდან დაუსაბუთებლი და უკანონო გათავისუფლების შესაძლებლობა პირდაპირ გავლენას ახდენს კულტურის და სპორტის დაწესებულებებში დასაქმებულ ქალთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

დასკვნა:

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულმა კულტურის და სპორტის დაწესებულებებმა პედაგოგებთან/მწვრთნელებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები დაუყოვნებლივ უნდა მოიყვანონ საქართველოს შრომის კოდექსთან შესაბამისობაში.

ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ,,საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ წინადადებით:

შეიტანოთ ცვლილებები პედაგოგებთან/მწვრთნელებთან გაფორმებულ შრომითი ხელშეკრულებების იმ პუნქტებში, რომლის თანახმად შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა 1 წელზე ნაკლებია და დასაქმებულთა შრომითი უფლების აღდგენის მიზნით, შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაში მოიყვანოთ საქართველოს ორგანულ კანონთან - შრომის კოდექსთან.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების თაობაზე, გთხოვთ, გვაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

.

[9] იხ. https://ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf გვ. 198-200.